

## საერთაშორისო კონფერენცია “მოხალისეობა დემოკრატიისათვის”

2011 წლის 8 ივლისს, ქ. ბიდგომში, პოლონეთი, 2011 წლის ევროპის მოხალისეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით “მოხალისეობა დემოკრატიისათვის”. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო გენერალურმა დირექტორმა ბ-მა იოსებ ხახალაიშვილმა. პროექტი განხორციელდა ქ. ბიდგომის მერიისა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის ხელმძღვანელობით სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.



ბიდგომში გამართული საერთაშორისო კონფერენციის “მოხალისეობა დემოკრატიისათვის” მოხალისეობრივი სერვისის ძირითადი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა იყო.

აღნიშნული კონფერენცია, რომელიც ბიდგომის მერიისა და ადსა-ს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა პირველი ევროპულ-პოლონური რეგიონების კუიავისა და პომერანიას პირველი თავმჯდომარეობის ხელისშეწყობი ღონისძიებაა, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ადგილობრივი მმართველობების 150 წარმომადგენელს მთელი ევროპული მასშტაბით.

ევროსაბჭოს კონგრესის პრეზიდენტმა კეით ვიტმორმა გახსნა კონფერენცია, რომელსაც ევროკომისიის წარმომადგენელმა ჯონ მაკდონალდმა ვიდეო ჩართვით მხარი დაუჭირა.

“ასეთი სახის ღონისძიებები ზუსტად ის არის რაშიც მონაწილეობა უნდა მივიღოთ როგორც ადგილობრივი ასევე რეგიონალური მასშტაბით, – მოხსენებაში განაცხადა ბიდგომის მერმა ბ-მა რაფალ ბრუსკმა. ეს მონაწილეობის ის ფენომენია, რაშიც ადგილობრივი თემი ხედავს დემოკრატიულობას. თვალსაჩინო საჭიროებაა ხელი შეეწყოს ამ ღონისძიებებს ფორმალურ და არაფორმალურ დონეზე: ბიდგომის ადგილობრივი მმართველობების დავალებები და ამბიციები. დარწმუნებული ვარ ეს გამოცდილება დაგვეხმარება გვიჩვენოს გზა და ნათელი მიმართულება საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაკენ, რაც განხილული იქნება ბიდგომის საერთაშორისო კონფერენციაზე.

2010 წლის მაისის კვლევებმა ცხადყო, რომ ათი ევროპელიდან სამს პრეტენზია აქვს აქტიურად იყოს ჩართული მოხალისეობრივ სფეროში.

“როდესაც ხალხი ეხმარება გასაჭირში მყოფ ადამიანებს საზოგადოება ძლიერდება და აღწევს დემოკრატიას. სწორედ ამიტომ, ადსა და მისი წევრები მუშაობენ იმაზე, რომ ხელი შეუწყონ აქტიურ მოქალაქეობასა და სამოქალაქო ჩართულობას, როგორც წევრ სახელმწიფოებს, ასევე მეზობელ ქვეყნებს შორის.” – განაცხადა ადსა-ს პრეზიდენტმა პერ ვინტერმა.

კონფერენციამ მოიცვა როგორც ფორმალური ისე არაფორმალური მხარე, ევროპის მოხალისეობის სფეროში სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მმართველობების ჩართულობა სამომავლო გეგმების გათვალისწინებით.

ღონისძიების სტრუქტურა მოიცავდა პლენარული სხდომის სესიებს სამოქალაქო სექტორისა და ინსტიტუციების ჩართვით.

კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების პოლიტიკის შემუშავებაში.

წარმოდგენილი იქნა რამდენიმე პროექტი რაც დემოკრატიულობისა და ჩართულობის საუკეთესო მაგალითია.

აღნიშნული კონფერენცია სამწლიანი პროექტის "ევროპული მოქალაქეობა" ნაწილია. პროექტი 20 საერთაშორისო ღონისძიების გამართვას ითვალისწინებს.

ქალაქ ბიდგოშჩის, როგორც ღონისძიების პარტნიორის და ორგანიზატორის, ხელმძღვანელობით 60 ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი იქნა მოწვეული, რომლებმაც გამოცდილება გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას, ჩაერთვნენ გამართულ დისკუსიაში და სურვილი გამოხატეს სამომავლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე.